

სპორტიელი

სპორტული გაზეთი

შაბათი 7 ოქტომბერი 2000 №194 (1216)

ფასი 50 თეთრი

ისტორია გვეკითხება

რამდენი გოლი გავა ლიტვა — საქართველოს მატჩში?

ტრაგიკული ამხანაგური

ბუქარესტის „დინამოსა“ და რუმინეთის ნაკრების ნახევარმცველი კატალინ ჰილდანი თამაშისას გარდაიცვალა




ბოლო პირველისთვის



შესარჩევი ტურნირის საგანგებო ჩანართი

კანდელაკმა მერიდიანს გალახა



მსოფლიო ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი
ლიტვა 2:1 საქართველო
 6 ოქტომბერი, შაბათი, 18.00

ვახტანგ ბუციაძე
 შაულიანიდან

ტრაკის-უტრაკისოდ ჩვენ ისევ იმ პართ

ლიტველებს თუ საკუთარ ახალგაზრდული ვით მოწვევრიგებული ეროვნული გუნდი ჰყავთ, მაშინ არც დღეს უნდა დაგვადგეს ქართველებს კარგი დღე. გუშინ კი სადღეისო განწყობილების ამალგების ცდა უნაყოფოდ ჩაიარა — ეუგენიუს რიბოვასის კარად გაწვრთნილმა გუნდმა მატჩი ისეთი შედეგით ჩამთავრა, რომელსაც აქ არავინ გაუკვირვებია.

„კარგები ჩანან, მაგრამ ჩვენები მოუგებენ“ — თავდაჯერებით თქვა „კაუნასის“ ერთ-ერთმა მწვრთნელმა, რომელმაც ჩვენი ახალგაზრდების მეორე აქაური ვარჯიში ნახა.

„ინფორმაცია გვაქვს, ჩანაწერი ვნახეთ, ძალიან ძლიერი გუნდი ჰყავთ“ — პირდაპირი იყვნენ მატჩამდე მურთაზ ხურცილავა და სერგო კუტივაძე.

„ეს ის გუნდია, რომელსაც პორტუგალიაში ევროპის ახალგაზრდულ დღეებზე მხოლოდ პენალტებით მოუგებთ“ — იხსენებდა ვახტანგ კობალეიშვილი.

ყველა მათგანის ნათქვამში საერთო ეს იყო — ფავორიტი ლიტვა გახლდათ. თუ კიდევ ვინმეს ეპარებოდა ამაში ეჭვი, თამაშის დაწყებიდან ათ წუთში დარწმუნდებოდა. მასპინძლები ისე გაუსწორდნენ სტუმრებს, იფიქრებდით, ეპე, 1997 წლის მერე ლიტვა წინ წასულა, ჩვენ კი

ისევ იქ ვდგავართო.

ქართველთა შეტევები რაღაც უხორცო და უმარილო იყო, ლიტველთა კი უსწრაფესი და დამარეტიანებელი.

ხურცილავას გუნდი მეტოქის მსგავსად სამი მცველის იმედად იყო, წინ კი, ორ თავდამსხმელს ნახევარდაცვაში ორი მცველი და ორი თავდამსხმელი ეხმარებოდა. ერთადერთი ნახევარმცველი შუა ხაზში ერთ-ერთი საყრდენი კვარაცხელია გახლდათ. მასთან შეწყვილებული წერეთელი და მარჯვენაფლანგელი დევიძე მცველები არიან, გამთამაშებლად და მარცხენაფლანგელად გამწვებული გვაზაფა და მეტოქე კი თავდამსხმელები. გვაზაფა ხშირად კი უტევედა, მაგრამ თანაგუნდელებს დაცვისას ვერ ეხმარებოდა, ჩვენებურთაგან ყველაზე ტანმაღალი წერეთელი კი იქ ცდებოდა, სადაც ბურთი იშვიათად ხვდებოდა, ამ დროს კი ჭოკივით პოშკუსი და ტრაკისი, სტუმრებს ორი გოლი რომ უთავაზეს, ქემოკლიძეს და საჯაიას სტანჯავდნენ.

შემადგენლობის ასე განლაგებამ, რომლის მცდარობა მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე სერგო კუტივაძემაც აღიარა, პირველი ტაიმი პირწმინდად 0:2 წაავო. მეორეში საქმე შინაშენლოვნად შეცვალა ასათიანის მოედანზე შემე-

ბამ და მეტოქის შეტევაში გადასროლამ. მართალია მეტოქემ თამაშიდან კი არა, საჯაროდან უძლიერესი, შორეული ცაციით გაიტანა და ასათიანის სუპერპასიც გამოუყენებელი დარჩა — კვარაცხელიამ ხარისხს გადააცილა — უფრო სწორი ვარიანტი მაინც ეს გამოდგა.

თუმცა ქართველებმა თამაშის გათანაბრება ერთხანს მოპოვებული რიცხობრივი უპირატესობის ხარჯზე შეძლეს (ლიტვა უტრაკისოდ დარჩა), მერე კი ეს უპირატესობაც გაანიავეს. ხიზანეიშვილის მეორე გაფრთხილებაზე არაფერს ვამბობ, მაგრამ პირველი იმის მაგალითია, როგორ არ უნდა მოიქცეოთ იმიტომ, რომ საქმე ასე არ შემოგიტრიალდეს. ცხადია, ოთარს რაც შეეძინა, შეცდომით მოუვიდა, მაგრამ ეს შეცდომა თავად გაძეგებად ზომ დაუჯდა და ასლა გუნდის იკითხეთ: იტალიაში ხურცილავას ნამდვილად არ ეყოლება ერთი და შესაძლოა, ორი მცველი — წერეთლის მტკივან საზარდულს დასვენება ესაჭიროება და საეჭვოა, ფერმომი თანაგუნდელებს დაეხმაროს.

თამაშის ოქმი, სტენოგრამა და მატჩისშემდგომი პრესკონფერენცია იხილეთ მეორე გვერდზე



ვალდას ტრაკისმა (№11) და პოშკუსმა (№19) ქართველი მცველები რევაზ ქემოკლიძე (№6) და ედიკ საჯაია (№2) პირწმინდად დაჩაგრეს

ფულაბი არის. მულაბი?

ისევ შემოდგომა, უკვე მეოთხე და მეოთხე შესარჩევი ეტაპის დასაწყისი. ნაცნობი მეტოქე არცთუ შორეულ წარსულში. ლიტვაზე ვერ დაიჩემებ, საფეხბურთო ქვეყანააო, მაგრამ შესარჩევი ეტაპებში მონაწილეობის ჩვენზე მეტი გამოცდილება კი დაუგროვებია.

საღამომდე თითქმის მთელი დღეა. საქართველო პირდაპირ ეთერში იხილავს ნაკრების გარჯას.

ფედერაციამ სიტყვა თქვა და შეასრულებს კიდევაცო — თურმე ქართული ფეხბურთის ხელმძღვანელები, თუ ნაკრებმა იმარჯვა, კაუნასშივე აპირებენ პრემიების დარიგებას. დავით ყიფიანი და რევაზ ძოძუაშვილი კი იმედინად ხვდებიან დღევანდელ მატჩს. თუ წავაგეთ, სულ წავალთ საქართველოდანო. ამ სიტყვებმა გუშინ საფეხბურთო წრეებიდან გამოყოფა. ჩვენები ემზადებიან. ყველა ჯანმრთელია, ყოველ შემთხვევაში, გუშინ ასე იყო.

ალექსანდრე იაკუბაშვილი



2002
FIFA WORLD CUP
KOREA JAPAN

ოთხგვარდღიანი
ჩანართი

- 063-0000 — პარკინგის
- 063-0000 — პარკინგის
- 063-0000 — პარკინგის

მსოფლიო კოფე-იპრობის გზაზე

მსოფლიო ჩემპიონატი. 7 სექტემბერი



ეროვნული
ბიზნისი

ბოლო პირველისთვის

როცა ბერლინში ჩასული სტენლი მეტოუნი და მისი მეგობრები იძულებულნი გახდნენ, ფაშისტურ ყაიდაზე გაემგებნათ ხელი სვასტიკისკენ, ან დღევანდელი რითი იქნება ნაკლები...
თუმცა გვეყო მოვლენები და ვნახოთ, როგორ ემზადებიან გუნდები. აკი პოლ სქოლუზიცი ამბობს, გერმანია იქნება თუ ვინმე სხვა, ჩემთვის ის უპირველესად მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩიაო.


შანის პროცენტული მაჩვენებელი გაიზარდა და 95 პროცენტით ფასდება. ფეხბურთელი ამბობს: „დარწმუნებული ვარ, რომ მატჩის წინ საბოლოოდ მოემზადებიან. ასეც რომ არ იყოს, ოღონდ ტკივილს დაეძალო, რადგან ძალიან მინდა მინდორზე ყოფნა. სხვაგვარად ვერ წარმოვიდგინა — ინგლისმა აუცილებლად უნდა მოიგოს, მე კი გუნდს უნდა დავეხმარო“.

IX ჯგუფი

ინგლისი — გერმანია
ლონდონი 19.00
მსაჯე: სტიფანო ბრასკი (იტალია)

საბარკანო — უინდონი
ათენი 22.00
მსაჯე: ბიერლუფი კოლინა (იტალია)

IX ჯგუფი	1	2	3	4	5
გერმანია			2:0		
ინგლისი					
საბარკანო					
უინდონი					2:1
ალბანია					



ისე დაემთხვა, „უემბლის“ ბოლო მატჩი მეცხრე შესარჩევი ჯგუფისთვის უმნიშვნელოვანესი გამოდგება. ან ინგლისი, ან გერმანია — მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე პირდაპირ სომ მხოლოდ ჯგუფის გამარჯვებული გადის.



„უემბლი“ მისილმება ინგლისის ნაერებს და დევიდ ბექემს

ორშაბათს საეჭვო იყო დევიდ ბექემის თამაში. გასულ უქმეებზე „არსენალთან“ შეხვედრაში ინგლისელთა ვიცე-კაპიტანმა მუხლი იტყინა. ცხადია, დიდი ხმაური ატყდა. ინგლისური პრესა შეშფოთებას გამოთქვამდა, გერმანული კი შიშობდა, ბექემის ტრავმა შესაძლოა გაზვიადებული იყოს, ამგვარი ხრიკები მეტოქის დასაბნეველ არაერთხელ გამოუყენებიათ. ახლა ბექემის თამაშს

ინგლისელებს სერიოზულად ჰყავთ დაშავებული ლივერპულელი სტივენ ჯერარდი. რაღაც საოცარი უიღბლობა დაებედა ამ ბიჭს, ჯერ 20 წლისა და მერამდენედ მიიღო ტრავმა. მის შემცველად კევინ კიგანს „ჩელსის“ კაპიტანი დენის უაიზი ეგულედა.

გერმანელებს უფრო რთულად აქვთ საქმე. ორი დღის წინ ვერდით, რომ სათუო იყო ფენატკენი კარსტენ იანკერის თამაში. მას მერე არაფერი შეცვლილა და თითქმის არავინ ელის ბაიერნელის მინდორზე გამოჩენას.

მცირე ტრავმა აწუხებთ კარსტენ რამელოს, მეჰმეთ შოლსა და სებასტიან დაისლერს, თუმცა მატჩისწინა დღეებში რუდი ფილერმა ისინი ავარჯიშა.

რა იქნება? ცხადია, უშედეგო ბრძოლა. კრისტინ ციგე ამბობს: „მინდორზე გასვლას მოუთმენლად ველით. ამბიცია და მოგების უინი ინგლისელეებზე ნაკლები როდი გვაქვს. ნუ დაგვა ვიწყდება, რომ „უემბლი“ კარგად გვაქვს დაკდილი — ოთხი წლის წინ ხომ აქ გავხდით ვეროპის ჩემპიონები“.

ინგლისი — გერმანია აფერმკრთალებს მეცხრეჯგუფელთა მეორე შეხვედრას საბერნეთსა და ფინეთს შორის, თუმცა ბერძნები შინ ჯივრინად რომ იბრძვიან, რა ხანია ცნობილია.

სტუმართა მწვრთნელ ანტი მურინენს პირველ ტურში ალბანელთა მძლეველ შემადგენლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მოუხდენია. ახალგაშობებულთა შორის არიან სტოკპორტელი ნახევარმცველი იარკო უისი და გენკევი იუპა რეინი, რომელიც დაცვაში დასკვალიფიცირებულ იან საარინენს შეცვლის. ფინელებს თავისი ორი საუკეთესო ფეხბურთელიც ეყოლებათ — ბარსელონელი იარი ლიტმანენი და ლივერპულელი სემი ჰიიპია. სხვათა შორის, თბილისში „ტილბურგის“ შემადგენლობაში ნათამაშები ჰიიპია შარშანდელ სეზონში პრემიერლიგის ერთ-ერთ საუკეთესო მცველად აღიარეს.



გერმანელები ისე მონდომებით გარჯიშობენ, რული ფილერსაც კი უკვირს

სავარაუდო შემადგენლობები

ინგლისი	vs	გერმანია
დევიდ სიმენი	1	ოლივერ კანი
არსენალი, ლონდონი		ბაიერნი, მიუნხენი
გარი ნევილი	2	მარკო რემერი
მანჩესტერ იუნაიტედი		ჰერტა, ბერლინი
მარტინ კიოუნი	3	კრისტინ ციგე
არსენალი, ლონდონი		ლივერპული, ინგლისი
გრემ ლე სო	4	თომას ლინკე
ჩელსი, ლონდონი		ბაიერნი, მიუნხენი
ტონი ადამსი	5	ინს ნოვოტნი
არსენალი, ლონდონი		ბაიერი, ლევერკუზენი
პოლ ინსი	6	მიხაელ ბალაკი
მიდლსბრო		ბაიერი, ლევერკუზენი
დევიდ ბექემი	7	მეჰმეთ შოლი
მანჩესტერ იუნაიტედი		ბაიერნი, მიუნხენი
პოლ სქოლუზი	8	დიტმარ ჰამანი
მანჩესტერ იუნაიტედი		ლივერპული, ინგლისი
ენდი კოული	9	ოლივერ ბირჰოფი
მანჩესტერ იუნაიტედი		მილანი, იტალია
მაიკლ ოუენი	10	სებასტიან დაისლერი
ლივერპული		ჰერტა, ბერლინი
ნიკ ბარმბი	11	მარკო ბოდე
ლივერპული		ვერდერი, ბრემენი

გიორგი დარჯანია



მარადონა ქალაქში


დიეგო მარადონა ბუენოს აირესში ჩავიდა საქმისთვის, რომელიც ადასტურებს, რომ იგი ცხოვრების ფერხულში ერთობ ჩაერთო. ნიგნი გამოუშვა (ავტობიოგრაფიული) და „მე დიეგო მქვია“ დაარქვა, ახლა, ჩემო ბატონო, არგენტინის დედაქალაქში დიდი მობურთალის ვებ-გვერდი გახსნილა და იმაზეა ჩასული, ხოლო ეს ტურფა გოგოები არგენტინელი ბალახის ჰოკეისტთა გუნდის წევრები არიან. ამათვისაც მოუცლია დიეგოს.



REUTERS პანამიდან

ანონვა

იწონებინა მონა ღვთისა რობერტო დურან უმცროსი და მისი და ირინელ დურანი, ღირსეული მამის, მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონ რობერტო დურანის ქალ-ვაჟი. ორივეს სახელოვანი მშობლის კვალზე სვლა განუწრაზავს და პანამა სიტის ღამის კლუბში თავთავიანთი სქესის წევრებთან უნდა იჩნებონ. მეტოქეთა ვინაობა არ გვაინტერესებს.



REUTERS პანამიდან

რეკლამა

ლატარია სარფიანი საქმეა და რეკლამაც ფრიადი სჭირდება. ახალმორჩენილი ოლიმპიადის ფონზე სიდნეის ტრიუმფატორების გამოყენება სალატარიო ფირმა „კამელოტის“ მესვეურებს არ ესწავლებათ და ამდაც ჩამჯდარა ფირმის აღმასრულებელი თავმჯდომარე, ქალბატონი დაიანა ტომპსონი სახელოვან ბრიტ ნიზბოსანთა შორის.

მარცხნიდან მარჯვნივ კი დგანან ტიმ ფოსტერი, ჯეიმს კრეკელი, მეთიუ პინსენტი და სტივ რედგრევი.



REUTERS ლონდონიდან



REUTERS ბუენოს აირესიდან

პრეზიდენტის ამბორი

რუსთა სპორტის ტრფი-ალ პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინს კრემლში დიდი მიღება გაუმართავს თანამემამულე ოლიმპიურ ჩემპიონთა პატივსაცემად. ეს მშვენიერი გოგონა სინქრონულად მოცურავე ოლგა ბრუსნიკინაა, პრეზიდენტის ამბორი კი ეტიკეტით არის განსაზღვრული — ეჭვიანობის საბაბი არავის აქვს.



REUTERS მოსკოვიდან

ტოპერტო, ახელი და ხაზუხუბი



REUTERS ლიმიდან

პერუ და ბოლივია ლიმაში შესარჩევ მატჩს ითამაშებენ, კორეა — იაპონიის მსოფლიო პირველობისკენ ნაბიჯი რომ წადგან. ლიმაში პერუელმა ფეხბურთელებმა: რობერტო პალასიოსმა (მარცხნივ) და აბელ ლობატონმა ბავშვები ირგვლივ წინილებით შემოისხეს და ეს ფოტო გადაიღეს. კარგი ფოტოა.

სარბიელი
საორტული გაჯეთი
გამოიცვამა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის საფაბატს,
ოთხფაბატს, ხუთფაბატს,
პარასკეპს და შაბატს

ზაგარი რედაქტორი ზურაბ შონცხვარია
დირექტორი გიორგი ოქროშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიალი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ზურაბ მემკვიდრე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაძე
კალაბურთის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ვახტანგ ბუიკაძე, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე
ინფორმაციის რედაქცია ვია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, და-

ვით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე, კალაბურთის რედაქცია ვიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, ირაკლი ფირაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე, ფოტორეპორტიორები გურამ დოღენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე, სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი, კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შიოლაშვილი, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე
ჟაზბაგის გამზირი 42, 11
კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო
ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვებსაიტი
http://www.sarbieli.com.ge